



ს ა კ ა დ ე მ ი ი ს უ ნ ე მ ე ბ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ენა: შიშული, საინჟინოეზა — ოჯახი, ზნეობა, ცნადიციო
ცოდნა, ვანაოილეზა, ვანსნაილეზა — ერიფულეზა, სიყიარული, თანადილეზა



№2, თებერვალი, 2017

ინტარვიუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ როინ მეტრეველთან



ესაუბრა ენვერ ნიჟარაძე

ბატონო როინ, იყო დრო, როდესაც საზოგადოებრივი მეცნიერებებით დაინტერესება დიდად უსწრებდა წინ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებებით დაინტერესებას. დღეს, მგონი, ეს თანაფარდობა საპირისპიროდ შეიცვალა!

თუ გადავხედავთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების სამსავე საფეხურზე სტუდენტთა არჩევანს, რაც, ფაქტია, მათი თავისუფალი ნების გამოხატულებაა, საზოგადოებრივი მეცნიერებებით დაინტერესება სტატისტიკურად თითქმის უთანაბრდება ზუსტი, საბუნებისმეტყველო თუ ტექნიკური დარგებისაკენ სწრაფვას. ეს, თავისთავად ცუდი როდია - საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის ცოდნის ყველა დარგი თანაბრად საჭირო და მნიშვნელოვანია.

საყოველთაოდ ცნობილია მეცნიერებათა აკადემიის დამსახურება საქართველოში მეცნიერების ფუნდამენტური დარგების დამკვიდრებაში. არანაკლები წვლილი მიუძღვის აკადემიას ქართველოლოგიის და, საერთოდ,

ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაში. ზოგს ჰგონია, რომ მეცნიერება დღეს თვითონ გამოიგონა და იმას, რაც უკვე გაკეთებულა, არად აგდებს და უდიერად ეპყრობა. კადნიერებას, თავდაჯერებულობას და ჯიქურობას ჯერ არსად არ შეუქმნიათ რამ ისეთი, რაც მოკრძალება, რუდუნება და ურთიერთპატივისცემამ შექმნეს. ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად განუზომელი დამსახურებისა ქართული მეცნიერების და კულტურის წინაშე, არც თითონ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აღმოცენებულა ცარიელ ადგილზე. წინმავალთა, გარჯილთა, ამადართა, ცნებებზე და შეგონებებზე დაყრდნობილმა და გაზრდილმა, სხვაგან და სხვაგან განსწავლულმა ჩვენმა მეცნიერებმა ჯერ თბილისის უნივერსიტეტი შექმნეს, სწავლულთა ახალი თაობა აღზარდეს და შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დააფუძნეს. ნიშანდობლივია, რომ აკადემიის დამაარსებელთა შორის ექვსი თბილისის უნივერსიტეტში დაფრთიანებული მეცნიერი საჩინოებს: სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ნიკო კეცხოველი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ილია ვეკუა, და გიორგი წერეთელი. ვფიქრობ, ბატონო როინ, რომ არავის და არაფერს ავნებს, თუ ჩვენ დღეს ქართველოლოგიის განვითარების გზებს გავიხსენებთ და მისთა მესაძირკველთა, ხუროთმოძღვართა და მშენებელთა მეტ-ნაკლებ ღვანლსაც, რა თქმა უნდა ზოგად, წარმოვანჩეთ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, დღიდან მისი დაარსებისა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებია, რაც სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც ქართული ჰუმანიტარიის ძირითადი ბირთ-

ვის, ქართველოლოგიის განვითარებისთვის ზრუნვა საკუთრივ ქართული სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსკლუზიური ვალდებულებაა. ბუნებრივია, მეცნიერებათა აკადემიამ, დაარსებისთანავე (1941 წ.) ამ მოვალეობის ლომის წილი იტვირთა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური ჰუმანიტარია ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა - ის, სულ ცოტა, ორსაუკუნოვან მდიდარ მემკვიდრეობას დაემყარა, რომლის სათავეებთან სახელოვანი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756) დგას. აღსანიშნავია, რომ აზროვნების სხვადასხვა დარგში საუკუნეობით დაგროვილი ცოდნის მეცნიერებად ქცევის პროცესის პიონერი ქართულ სინამდვილეში სწორედ ისტორია და ისტორიული დისციპლინებია: ვახუშტი ბაგრატიონი - დიდი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი, ამავე დროს დიდი ქართველი მეცნიერია საზოგადოდ. მან საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ისტორიულ მეცნიერებას, არამედ მის სპეციალურ დარგებსაც (ეთნოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, ისტორიული ქრონოლოგია, კარტოგრაფია, გენეალოგია). ვახუშტის მიერ დაწყებულმა საქმემ შემდგომი განვითარება ჰპოვა ევროპულ ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში, რომლის ფუძემდებელია ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე აკად. მ. ბროსე (1802—1880). მან თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობით ღრმა კვალი დაამჩნია საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის, ქართული ენისა და ლიტერატურის, არქიტექტურის ისტორიის და ა.შ. მეცნიერულ შესწავლასა და პოპულარიზაციას. ამასთანავე, მ. ბროსემ ერთგვარი სტიმული

მისცა ქართველოლოგიურ კვლევებს როგორც პეტერბურგში, ისე საკუთრივ საქართველოში, რომელმაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის პირველ ოცეულში. მუშაობა გაიშალა როგორც, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შეკრება-შენახვის (პეტერბურგის სააზიო მუზეუმი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმები), ისე საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ფოლკლორის, სამართლის და ა.შ. მეცნიერული შესწავლის მიმართულებით, რომლის თვალსაჩინო დასტურია ა. ცაგარელის, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, ა. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ნ. ურბნელის შრომები, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ს. გორგაძის, ი. ყიფშიძის, კ. კეკელიძის და სხვ. ადრეული შემოქმედება.

სრულიად ახალი ეტაპი ჩვენში მეცნიერების, მათ შორის, ჰუმანიტარული დარგების განვითარებაში დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (1918 წ.). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ფუნქციონირება სიბრძნისმეტყველების (ე. ი. ჰუმანიტარული) ფაკულტეტით დაიწყო, რასაც მალე მოჰყვა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების ფაკულტეტებისა და კათედრების ჩამოყალიბება და შემდგომი გაფართოება. უნივერსიტეტში ახალი ძალით გაიშალა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა, რამაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ისტორიოგრაფია, მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა სპეციალური ისტორიული დისციპლინები (წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია, სამართლის, ეკონომიკისა და ქართული მუსიკის ისტორია), საფუძველი ჩაუყარა ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების უძველესი

ხანის ეთნო-ლინგვისტური ისტორიის კვლევას (კავკასიოლოგია) და ა. შ. ამასთან ერთად,

ივ. ჯავახიშვილმა შექმნა ისტორიოგრაფიული სკოლა, რომელმაც უზრუნველყო ქართული ისტორიული მეცნიერების ფუნდამენტური ხასიათი და მისი შეუქცევადობა განვითარების ყველა ეტაპზე. უნივერსიტეტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში („მეტეხი“) მყარ ნიადაგზე დადგა ქართული არქეოლოგია (ბ. კუფტინი, გ. ნიორაძე), ეთნოგრაფია (გ. ჩიტაია, ს. მაკალათია), ხელოვნებათმცოდნეობა (გ. ჩუბინაშვილი).

უნივერსიტეტშივე ფართოდ გაიშალა მუშაობა ქართული და ქართველური ენების (მორფოლოგია, სინტაქსი, ფონეტიკა) გაღრმავებული მეცნიერული კვლევისა და ქართული ენის ძეგლების აკადემიური გამოცემების მიმართულებით (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი), ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (არნ. ჩიქობავა), რომელმაც მალე ჩრდილო კავკასიის სამეცნიერო ცენტრებიც საერთო ფერხულში ჩააბა. კ. კეკელიძისა და მისი მოწაფეების ძალისხმევით ახალი ძალით წარიმართა ძველი ქართული ლიტერატურის კვლევა, საფუძველი ჩაეყარა რუსთველოლოგიას, ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართული ლიტერატურის ძეგლების მეცნიერულმა პუბლიკაციებმა. უნივერსიტეტის წიაღშივე დგამს პირველ ნაბიჯებს ქართული პაპიროლოგია (გრ. წერეთელი), გრეცისტიკა-ბიზანტინოლოგია (ს. ყაუხჩიშვილი, ა. წერეთელი), ირანისტიკა (ფუკ. ბერიძე, ვ. ფუთურიძე), თურქოლოგია (ს. ჯიქია), სემიტოლოგია (გ. წერეთელი).

უნივერსიტეტში ყალიბდება ფსიქოლოგიის ქართული სკოლა, მისი ფუძემდებლის, დ. უზნაძის მიერ შექმნილმა განწყობის თეორიამ მსოფლიოს ფსიქოლოგთა შორის საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ადრიდანვე დაწყებული ფი-

ლოსოფიური ძიებები ახალი შემართებით განაგრძო შ. ნუცუბიძემ უკვე უნივერსიტეტის კედლებში. მან შექმნა ორიგინალური ფილოსოფიური თეორია, რომელიც ალეთოლოგიის სახელითაა ცნობილი. გასაგები მიზეზების გამო ორიგინალური ფილოსოფიური თეორიების არსებობას საბჭოური სინამდვილე არ ეგუებოდა, ამიტომ უნივერსიტეტის ფილოსოფიური დარგის მესვეურები (შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე და სხვ.), არსებითად, ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის საკითხების კვლევაზე გადაერთნენ და ამ მიმართულებით საეტაპო ნაშრომებიც შექმნეს.

უნივერსიტეტისა და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში შეიქმნა ისეთი მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, როგორცაა შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი.

წინამავალი პერიოდის ეს სქემატური მიმოხილვაც კი კარგად გვიჩვენებს თუ რა მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას დაემყარა ჰუმანიტარული მეცნიერებები ახალშექმნილ (1941 წ.) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც აღნიშნული მიმართულებები, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, ახალ სიმაღლეზე ავიდა. თანდათანობით ყალიბდება და ფართოვდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი.

დაარსებიდანვე მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მოექცა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომლის ბაზაზე ცალკე ერთეულებად ჩამოყალიბდა ისტორიის, ენისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტები. ისტორიის ინსტიტუტი (თაოსანი და პირველი დირექტორი აკად. ს. ჯანაშია), რომელსაც მოგვიანებით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის

ინსტიტუტი ეწოდა და ივ. ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა, ძალიან მალე ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლის ძირითად ცენტრად იქცა, რომელმაც არსებითად შეინარჩუნა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული სკოლის ფუნდამენტურობა და ახალი მიღწევებით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დანერგული საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის საქმე წარმატებით განაგრძეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა. საქართველოს ძველი ისტორიის კვლევა-ძიების შემდგომი გაღრმავება განაპირობა ახალმა არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა მონაპოვრებმა, ძველი აღმოსავლური და ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების ფართოდ მოხმობამ, ძველი ქართული ქრონიკების ახლებურმა ინტერპრეტაციამ, ძველი აღმოსავლეთის უძველეს საზოგადოებათა ისტორიის სფეროში მიღწეულმა შედეგებმა. ინტენსიურად შეისწავლებოდა ძველი ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ბუნების, ქართველთა ეთნოგენეზის, ქვეყნის შიდა პოლიტიკური და საგარეო ურთიერთობის ისტორიის კარდინალური საკითხები, რომლებიც გაშუქდა არაერთ განმეზობადებელ ნაშრომში (აკადემიკოსები გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, აკად. ნევრ-კორესპონდენტი ო. ლორთქიფანიძე, პროფ. თ. მიქელაძე და სხვ.).

ინსტიტუტის მრავალწლიანი და გეგმაზომიერი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის (IV-XIX ს. 60-იანი წლები) ისეთი კარდინალური პრობლემები, როგორც არის ფეოდალიზმის გენეზისი, ფეოდალურ ურთიერთობათა პერიოდიზაცია, ეკონომიკური განვითარება, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრება, სახელმწიფო წყობილება, პოლიტიკური ისტორია, საგარეო

პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები, მატერიალური ყოფისა და კულტურის ისტორია... (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ზ. ანჩაბაძე, მ. ლორთქიფანიძე და ა.შ.). ქართული ცივილიზაციის ამ ყველაზე ხანგრძლივი ეპოქის შესწავლის გარკვეული ეტაპის შეჯამებას წარმოადგენდა გასული საუკუნის 70-იანი წლებში „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რეკომენდების გამოცემა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. ფართო მასშტაბი მიიღო ინსტიტუტში ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითა კვლევამ, გამოიცა ქართული ისტორიული და დოკუმენტური წყაროები, ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის უცხოური (ძველადმოსავლური, ბერძნული, სომხური, არაბული, ირანული, თურქული) მასალები, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ისტორიული კვლევების წყაროთმცოდნეობითი ბაზა. იმავე ინსტიტუტში აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა ისტორიული მეცნიერების უაღრესად მნიშვნელოვანი დარგი – ისტორიული გეოგრაფია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში **არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის** მიმართულებით მუშაობას წარმართავდა რამდენიმე კვლევითი დანესებულება – ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, მოგვიანებით ამ უკანასკნელისგან გამოყოფილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რეგიონული (სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი) კვლევითი ინსტიტუტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის კათედრებსა და ხელოვნების მუზეუმთან მჭიდრო თანამშრომლობით. ქართველი არქეოლოგების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი

ნილია არქაული ეპოქის ყველა ეტაპი, დანერგული პალეოლითის უძველესი საფეხურიდან. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV ათასწლეული) აღმოჩენას. წარმატებით მიმდინარეობდა საქართველოში შუა ბრინჯაოს პერიოდის (ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული და II ათასწლეულის პირველი ნახევარი) არქეოლოგიური შესწავლა, რასაც საფუძველი დაედო თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის აღმოჩენით (პროფ. ბ. კუფტინი, აკად. ო. ჯაფარიძე). არქეოლოგიური გამოკვლევებით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე აღინიშნება საწარმოო ძალების, პირველ რიგში, ბრინჯაოს მეტალურგიის დაჩქარებული განვითარებით, მინათმოქმედების აღმავლობით და პროტოურბანისტული ცივილიზაციის ნანამძღვრების გამოჩენით. ამ ტიპის ძეგლების კვლევა სათავეს იღებს მცხეთის სამთავროს გათხრებიდან. საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი გვიან ბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები (სამოსახლოები, სამაროვნები, სამლოცველოები, მეტალურგიული და კერამიკული ნარმოების ნაშთები). ქართველმა არქეოლოგებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს რკინის მეტალურგიის შესწავლაში, ამ ეპოქის ქართულ სამეფოთა შესწავლის საქმეში ქართულ არქეოლოგიას უდიდესი წვლილი მიუძღვის. არქეოლოგიურად შესწავლილია ქართულ და ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული ნაქალაქარები: მცხეთა, არმაზციხე (ს. ჯანაშია, ა. აფაქიძე), უფლისციხე (აკად. ნევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი, პროფ. თ. სანიკიძე), ბიჭვინთა (ა. აფაქიძე, გ. ლორთქიფანიძე), ნასტაკისი, ძალისი, სარკინე (ა. ბოხორაძე), შორაპანი, აფსაროსი (დ. ხახუტაიშვილი) და სხვ. ქართველი არქეოლოგების მრავალწლიანი ძალისხმევით ბერძნულ-რომაული წერილობითი

წყაროების კოლხეთი წარმოჩნდა როგორც რეალური ქვეყანა თავისი სახელმწიფოებრიობით, განვითარებული მინათმოქმედებით, ქალაქებით და ა. შ. ეს არქეოლოგიური არტეფაქტები კლასიკური პერიოდის საქართველოს საზოგადოების სტრატეგიკაციის, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების, სამეურნეო და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესწავლის ძირითად წყაროდ იქცა. გასული საუკუნის 60-70 იან წლებიდან დაიწყო ფართო საველე კვლევითი სამუშაოები შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე: თბილისში, რუსთავში (აკად. ლ. ჭილაშვილი), უჯარმაში, ვარდციხეში, ჟინვალში, სოფ. კაზრეთში, სოფ. მთისძირში (ვანის რ-ნი), ბალიჭში, დმანისში, ახალქალაქში (ჯავახეთი), გავაზში, თელავში, ფოთში (პალიასტომის ტბასთან) და სხვ. თანამედროვე ქართული არქეოლოგიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს დმანისის ნაქალაქარში ჰომინიდების თავის ქალების აღმოჩენა. მათი ასაკი 1,8 მილიონი წლითაა განსაზღვრული. გაირკვა, რომ ტრანსკავკასია წარმოადგენს ჰომინიდების ევროპაში გავრცელების უძველეს კერას (აკად. ნევრ-კორესპონდენტი დ. ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი ა. ვეკუა).

აკადემიის ნიაღში კიდევ უფრო გაიზარდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მიღწევები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის – საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამინათმოქმედო იარაღების, საოჯახო ინვენტარის, ხელოსნობის ტრადიციული დარგებისა და ა. შ. – შესწავლაში (აკად. გ. ჩიტაია, პროფ. ჯ. რუხაძე და სხვ.), აგრეთვე, სულიერი ცხოვრების – უძველესი რწმენა-წარმოდგენები, მითოლოგია, წარმართული პანთეონი და მისი სოციალური საფუძვლები, ხალხური სამეურნეო კალენდარი, ჩვეულებითი სამართალი და სხვ. - პრობლემები (პროფესორები ვ.

ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ვალ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური და სხვ.). ქართველი ეთნოგრაფების კვლევის არეალში მყარად მოექცა ჩრდილო კავკასიის ხალხებიც (აკად. ნევრ-კორესპონდენტი ა. რობაქიძე). თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სკოლის მაღალი მეცნიერული დონის მკაფიო გამოხატულებაა მუზეუმში ღია ცის ქვეშ, რომელიც აკად. გ. ჩიტაიას და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით დაარსდა.

ბატონო როინ! რადგან თქვენ ქართული ეთნოგრაფიული სკოლა და პროფესორი ვერა ბარდაველიძე ახსენეთ, მინდა ერთი სურვილი გამოვთქვა: თქვენ იცით, რომ ამ შესანიშნავ მეცნიერს, აქვს თბილისში, 1977 წელს, რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი: „Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен“. ეს არის ქართული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები, რომელიც თავის ღირსებებს არასოდეს დაკარგავს და ამიტომ მისი გადმოუქართულებლობა ჩვენი კულტურისთვის ერთგვარ დანაკლისად რჩება. კარგი იქნება თუ მის ქართულ ენაზე გამოცემას სწორედ აკადემია ითავებდა, სადაც მისი მეუღლე, აკად. გიორგი ჩიტაია, წლების მანძილზე დიდი წარმატებით მოღვაწეობდა. საფიქრებელია, რომ არსებობს გამოკვლევის ქართული ტექსტიც, თუ არადა, ალბათ არც მისი თარგმნა გაჭირდება.

სრულიად გეთანხმებით. ეს მართლაც რომ უნიკალური, გამორჩეული წიგნია და ქართულ ენაზე მისი გამოცემა უთუოდ საშური საქმეა. ჩვენ აუცილებლად დავძებნით ქართულ ტექსტს და თუ ის არ არსებობს, მაშინ წიგნი გვექნება სათარგმნელი.

კავკასიაში ერთ-ერთ უძველეს და კოლექციებით მდიდარ დანესებულებაში – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახელობისა 1947 წლიდან, ამჟამად მსხვილი გაერთიანების – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენელი ნაწილი) აკა-

დემიის სისტემაში გადმოსვლის შემდეგ ახალი ძალით გაიშალა ჰუმანიტარული კვლევა-ძიება, რომელიც ტრადიციულად მისი საქმიანობის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენდა. როგორც ითქვა, დიდია მუზეუმის დამსახურება არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში. მუზეუმმა, სადაც სხვადასხვა ეპოქისა და წარმომავლობის მონეტების მდიდარი კოლექციებია თავმოყრილი, კანონზომიერად მოიპოვა ქართული ნუმისმატიკური კვლევების ცენტრის სტატუსი. მუზეუმში დიდი ადგილი ეთმობოდა საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციას, მატერიალური კულტურის ძეგლებით მუზეუმის ფონდების შევსებას, თემატური და ზოგადი ხასიათის ექსპოზიციების გამართვას (აკად. გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, გ. ჯალაბაძე და სხვ.). სხვადასხვა დროს აღნიშნული მუზეუმის ფრთებქვეშ მოექცა ახალციხის, მესტიის, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმები, რამაც საფონდო და საექსპოზიციო მუშაობასთან ერთად მნიშვნელოვნად გაზარდა მათი სამეცნიერო საქმიანობა.

მდიდარი ტრადიციების ეპიგრაფიკულ კვლევებს გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხელოვნების მუზეუმსა და კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც გვაქვს ამ ძეგლების საცავები და ფოტოთექები. განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ურარტული წარწერების ტექსტების გაშიფრვა და გამოცემა (აკად. გ. ნერეთელი), შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სრული კატალოგის გამოცემა (ა. ბაქრაძე და ს. ბოლქვაძე) წყაროების პუბლიკაციის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით. საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მიერ დაიგეგმა ქართული წარწერების სრული კორპუსის მრავალტომეულის გამოცემა, რომლის მომზადებაში ჩაბმული იყვნენ როგორც აკა-

დემიის დაწესებულებები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი), ისე ხელოვნების მუზეუმი და ძეგლთა დაცვის კომიტეტი თავიანთი საცავებით, ფოტოთექნიკითა და, რაღა თქმა უნდა, სპეციალისტებით. მოესწრო სერიის I-III ტომების გამოქვეყნება (ზ. ალექსიძე, ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავა, გ. აბრამიშვილი). პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა, აგრეთვე, ატენის სიონის სომხური წარწერები (ზ. ალექსიძე). უფრო ადრე კორპუსის სახით გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული ბერძნული წარწერები (თ. ყაუხჩიშვილი).

ენათმეცნიერების ინსტიტუტის (არნ. ჩიქობავას სახელობისა 1988 წლიდან) სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებებზე იმთავითვე განისაზღვრა: ქართველური და კავკასიური ენები, ლექსიკოლოგია, ტერმინოლოგია, თეორიული ენათმეცნიერება. ქართული ენისა და მისი დიალექტების (აკად. შ. ძიძიგური), ასევე მეგრულ-ლაზურის, სვანურის ფუნდამენტური კვლევის შედეგები აისახა მრავალრიცხოვან მონოგრაფიებსა და თემატურ კრებულებში. 1950-1965 წლებში მომზადდა და გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული, 1968 წელს მომზადდა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (ახალი რედაქცია გამოიცა 1998 წელს), „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (1970წ.). ინსტიტუტი მთელ რეგიონში იყო და რჩება ერთადერთ კვლევითი ცენტრად, სადაც მუშავდება ქართველურ და კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორია, სადაც მომზადდა ჩრდილოკავკასიელ ენათმეცნიერთა თაობები. ინსტიტუტში ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საყოველთაოდ აღიარებული სკოლა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე და სხვ.).

აკადემიის სისტემაში შეიქმნა შოთა რუსთაველის სახ. ქართუ-

ლი ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი (პირველი დირექტორი აკად. კ. კეკელიძე), რომლის ამოცანად განისაზღვრა ძველი და ახალი ქართული მწერლობისა და ფოლკლორის შესწავლა. მოგვიანებით იქვე ჩამოყალიბდა რუსთველოლოგიის განყოფილება. თვალსაჩინოა ინსტიტუტის მიერ განეული საქმიანობის შედეგები ძველი ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის, ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურის, განსაკუთრებით, ალორძინების ხანის ძეგლების აკადემიური გამოცემების მომზადების საქმეში, ასევე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შედარებით შესწავლასა და პოემის ტექსტის დადგენაში (აკადემიკოსები ა. ბარამიძე, გ. ჯიბლაძე, აკად. ნევრ-კორესპონდენტი სარგ. ცაიშვილი). თვალსაჩინოა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მკვლევართა (მ. ჩიქოვანი, ქ. სიხარულიძე, აპ. ცანავა და სხვ.) ღვაწლი, რომლებმაც შექმნეს მნიშვნელოვანი გამოკვლევები აღნიშნულ დარგში, მათივე ძალისხმევით გამოიცა ქართული ფოლკლორული სიტყვიერების მრავალტომეული.

1958 წ. შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი (პირველი დირექტორი აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი ილ. აბულაძე) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე, რომელსაც 1967 წლიდან აკად. კ. კეკელიძის სახელი მიენიჭა (ამჟამად კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). ინსტიტუტში თავმოყრილმა მასალამ - ძველი ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერი წიგნების, ისტორიული საბუთების კოლექციებმა და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, გრ. წერეთლის, ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, მ. თამარაშვილის სხვ.) პირადმა არქივებმა - განსაზღვრა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: ძველი

ქართული მწერლობისა და ისტორიოგრაფიის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების, ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერების აღწერილობებისა და კატალოგების, ქართული და უცხოენოვანი ისტორიული საბუთების, სულთა მატრიანების, ხელნაწერთა მინაწერების კრიტიკული ტექსტების მომზადება, ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერების აღწერილობებისა და კატალოგების შედგენა და გამოცემა.

ამასთან ერთად ინტენსიურად შეისწავლებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართულ-სომხური ენობრივი, ლიტერატურული თუ საეკლესიო-კონფესიური ურთიერთობები, საზღვარგარეთის ქართული სამონასტრო ცენტრების (სინაის უდაბნო, იერუსალიმი, ათონი...) ისტორიის საკითხები და სხვ. დიდია ინსტიტუტის წვლილი სპეციალური ისტორიული დისციპლინების - დიპლომატიკის, ისტორიული ქრონოლოგიის, გენეალოგიის, პალეოგრაფიის, სფრაგისტიკის განვითარებაში.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იმთავითვე გახდა საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა-ძიების უმთავრესი ცენტრი, რომლის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა დროის (წინაქრისტიანული, შუასაუკუნოვანი, XIX-XX საუკუნეების) ქართული ხუროთმოძღვრების სახვითი ხელოვნების, ე.წ. მცირე არქიტექტურული ფორმების, ხელნაწერი წიგნის მორთულობის, ხატწერის, ოქრომჭედლობის, მხატვრობის, გრაფიკის, სცენოგრაფიის, ქანდაკებისა თუ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კვლევა (აკადემიკოსები გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე, ნ. ჯანბერიძე). ინსტიტუტმა საერთაშორისო არენაზე გაიტანა ქართული ხელოვნებისა და ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევები: სრულიად კანონზომიერი იყო, რომ გასული საუკუნის 70-იან - 80-იან წლებში საქართველოსა და იტალიაში გამართა ქართული ხელოვნები-

სადმი მიძღვნილი ექვსი საერთაშორისო სიმპოზიუმი.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს ქართულმა აღმოსავლეთმცოდნეობამ მეცნიერებათა აკადემიაში მიაღწია. აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებას მნიშვნელოვანი ამაგი დასდო საყოველთაოდ აღიარებულმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა. დარგმა ფეხი აიდგა ახალდაარსებული ისტორიის ინსტიტუტის აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის განყოფილებაში, რომლის ამოცანად დაისახა აღნიშნული რეგიონის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა შესაბამისი პერიოდების საქართველოს ისტორიის პრობლემებთან უშუალო კავშირში, მოგვიანებით (1960 წ.) შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ახალი ცენტრი – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (პირველი დირექტორი აკადემიკოსი გ.წერეთელი), რომელმაც ძირითადად ამოცანებად დაისახა ზოგადლინგვისტური პრობლემების (თ. გამყრელიძე), აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა (ირანული, არაბული, თურქული) და შუა საუკუნეების ისტორიის, აგრეთვე, ბიზანტინისტიკის პრობლემების კვლევაზე (ვ. ფუთურიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ს. ჯიქია, ვ. გაბაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ.), ხოლო ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის პრობლემებზე – ისტორიის ინსტიტუტი (გ. მელიქიშვილი, გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე და სხვ.). საყოველთაოდ ცნობილია ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქართული სკოლის მიღწევები ურარტოლოგიის, ხეთოლოგიის, შუმეროლოგიის, ეგვიპტოლოგიის და ა. შ. მიმართულებებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სკოლის მეთაური აკად. გ. მელიქიშვილი ლენინური პრემიით დაჯილდოვდა გამოკვლევებისთვის „ნაირი-ურარტუ“. აღმოსავლეთმცოდნეობის ეს ორი აკადემიური კერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტთან ერთად ქმნიდა ქართული აღმოსავლეთ-

მცოდნეობის საერთაშორისო ავტორიტეტს. ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა აკად. თ. გამყრელიძის კვლევის შედეგებმა ინდოევროპეისტიკაში. მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევამ „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (აკად. ვ. ივანოვთან თანაავტორობით), რომელსაც მეცნიერების დარგში ლენინური პრემია მიენიჭა (1988 წ.), არსებითად ახალი ეტაპი შექმნა შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებასა და, ზოგადად, ინდოევროპეისტიკაში.

ივ. ჯავახიშვილის მიერ საფუძველჩაყრილი ეკონომიკური ისტორიის შესწავლა, სხვა პრობლემებთან ერთად, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტისთვის. განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა XVIII-XIX სს. მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება საქართველოსა და კავკასიაში, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის ისტორია და ა. შ. (აკადემიკოსები პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, ირ. მიქელაძე, ა. გუნია, აკად. ნევრ-კორესპონდენტი ვ. მელქაძე).

შედარებით გვიან შეიქმნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი (აკად. ნევრ-კორესპონდენტი ლ. ჩიქავა), რომელმაც ძირითად ამოცანად დაისახა ისეთი აქტუალური პრობლემების კვლევა, როგორცაა მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებანი, დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის შემუშავება, მიგრაციისა და განსახლების სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები, ოჯახის სოციოლოგიის პრობლემები და სხვ.

განწყობის თეორიის, ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის, არაცნობიერი განწყობის ფენომენების კვლევის საერთაშორისოდ აღიარებულ ცენტრად ჩამოყალიბდა დ. უზნაძის ინიციატივით შექმნი-

ლი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ფსიქოლოგიის პრობლემების კვლევას მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს აკადემიკოსებმა რ. ნათაძემ, ა. ფრანგიშვილმა, შ. ნადირაშვილმა და მათმა მოწაფეებმა. სხვადასხვა მიმართულებით კვლევა წარმატებით გრძელდება დღესაც (აკადემიის ნევრ-კორესპონდენტები ი. იმედაძე, დ. ჩარკვიანი).

ფილოსოფიის ინსტიტუტის საკვლევ თემატიკაში იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართული ფილოსოფიის, არეოპაგტიკის, ქართული (აღმოსავლური) რენესანსის პრობლემების კვლევას, რომლის შედეგები ფუნდამენტური ნაშრომებით აღინიშნა. მოგვიანებით ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ფილოსოფიური ანთროპოლოგიის – ადამიანის, კულტურისა და ღირებულებების კვლევაც იქცა (აკად. შ. ნუცუბიძე, პროფ. კ. ბაქრაძე, აკადემიკოსები შ. ხიდაშელი, გ. თევზაძე, ნ. ჭავჭავაძე, პროფესორები თ. ბუაჩიძე, ვ. ქვაჩახია და სხვ.).

ფართოდ წარიმართა ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხების კვლევა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში (მოგვიანებით ცალკე ჩამოყალიბდა სამართლის ინსტიტუტი). შეისწავლებოდა როგორც საქართველოს, ისე ძველი აღმოსავლეთის, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის და საპროცესო სამართლის, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები (თ. წერეთელი, გ. ინწკირველი). აღსანიშნავია შუა საუკუნეების სამართლის წიგნების (გიორგი ბრწყინვალის, ბექა-აღბულას, ვახტანგ VI-ის) პუბლიკაციები, აგრეთვე, ქართული სამართლის ძეგლების (ისტორიული დოკუმენტების) რვატომეულის გამოცემა (აკად. ი. დოლიძე).

დროთა განმავლობაში აკადემიამ თავისი განმტოვებები კვლევითი ინსტიტუტებისა თუ

ცენტრების სახით რეგიონებშიც შექმნა: სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, თელავში, გორში, ზუგდიდში. აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სოხუმში აფხაზური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის (აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ზ. ანჩაბაძე, გ. ძიძარია), არქეოლოგიის (პროფ. გ. ამიჩბა), ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, რეგიონული ეკონომიკის შესწავლის კერად ჩამოყალიბდა. ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. ინსტიტუტი ინტენსიურად იკვლევდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიას (პროფ. შ. ვარშანიძე), არქეოლოგიას (აკად. ნევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი, პროფ. ა. კახიძე), ეთნოგრაფიას ((აკად. ნევრ-კორესპონდენტი ვ. შამილაძე), დიალექტოლოგიას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ბაზაზე 1944 წ. შეიქმნა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ძირითად მიმართულებები იყო არქეოლოგია (ბ. ტეხოვი), ისტორია და ეთნოგრაფია, ოსური ენა და ლიტერატურა ((აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ჯუსოითი). შეიქმნა, აგრეთვე, ქუთაისის მრავალდარგოვანი სამეცნიერო ცენტრი (აკადემიკოსი რ. ადამია, პროფესორები ლ. სვანაძე, მ. ნიკოლეიშვილი). ჩამოყალიბდა კახეთის არქეოლოგიური შესწავლის სამეცნიერო ცენტრი (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. ფიცხელაური), სამეგრელოს რეგიონული სამეცნიერო ცენტრი-ზუგდიდის ისტორიული მუზეუმისა და ბოტანიკური ბაღის ბაზაზე (პროფესორები ილ. ანთელავა, გ. არახანია), რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველოლოგიური დარგების განვითარებაში.

საბჭოთა ცენზურის პირობებში საზოგადოებრივ მეცნიერებებში ეროვნული თვალსაზრისის გატარება გადაულახავ სიძნელეს წარმოადგენდა. და აი, საქართვე-

ლო მეოთხედ საუკუნეზე მეტა, რაც სამართლებრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება. რა შემატა არსებითად განვლილმა ხანამ საზოგადოებრივ მეცნიერებებს და როგორია ამ მეცნიერებათა ხვედრითი წილი რეფორმირებულ აკადემიაში?

საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოს მოუტანა არამარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არამედ აზროვნების თავისუფლებაც, რაც, ბუნებრივია მეცნიერებაზეც გავრცელდა. საბჭოთა კავშირში გაბატონებული ოფიციალური იდეოლოგიის წნეხს ყველაზე მეტად ჰუმანიტარული მეცნიერებები განიცდიდა, განსაკუთრებით, ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდები, უახლესი ეპოქის ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია... ანუ, წნეხი იგრძნობოდა იქ, სადაც ოფიციალურ იდეოლოგიას თავისი „ინტერესები“ ჰქონდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი „ინტერესების“ მიღმა რჩებოდა ძველი და შუა საუკუნეების ისტორია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ „სავალდებულო აქსიომას“), არქეოლოგია, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ფსიქოლოგია... სადაც აღნიშნული იდეოლოგიური წნეხი არ იყო ყოველსმომცველი და აკადემიური თავისუფლებაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იყო. შეიძლება ითქვას, არაოფიციალური საზოგადოებრივი აზრი მეცნიერებად სწორედ ამ მიმართულებებში შექმნილ ნაშრომებს აღიქვამდა. გარედან თავსმოხვეული პოლიტიკური სისტემის დემონტაჟის შედეგად მეცნიერებაც (და, საერთოდ, ინტელექტუალური შემოქმედება) სრულიად გათავისუფლდა იდეოლოგიური არტახებისგან. მეცნიერული ობიექტურობა კი თანდათანობით და მზარდი ინტენსიურობით იბრუნებს კუთვნილ ადგილს ოდესღაც საბჭოური იდეოლოგიის კონტროლირებადი მიმართულებების კვლევაში. უკანასკნელმა ოცდახუთმა წე-

ლინადმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ჰუმანიტარული მეცნიერებები, გაჩნდა ახალი მიმართულებები და თემატიკა. დამოუკიდებლობამ მოიტანა ისიც, რომ შეუზღუდავი გახდა საზღვარგარეთის მეცნიერების მიღწევებთან წვდომა, გაფართოვდა საერთაშორისო კონტაქტები.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც თავისი კვლევითი დაწესებულებების ქსელით მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს წიაღში შეიქმნა და ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ სახელმწიფოს სამეცნიერო-კვლევითი სივრცის ნაწილი იყო, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ სრულიად ახალ ვითარებაში აღმოჩნდა. აკადემია დადგა გარდამავალი ხანის ახალ რეალობასთან ადაპტაციის არც თუ მარტივი ამოცანის წინაშე, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმას გულისხმობდა, რომ რეფორმირების გზით აკადემიას მოენახა თავისი ადგილი დამოუკიდებელი საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სისტემაში. მეტად მტკივნეული აღმოჩნდა ახალ რელსებზე გადაწყობა. აკადემია, ერთი მხრივ, უნდა გამხდარიყო ქვეყნის წინაშე ნამოჭრილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პრაქტიკული გადწყვეტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მეორე მხრივ, საკუთარი პოტენციალის არსებული დონის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის ოპტიმალური გზები უნდა ეძია. ეს პროცესი სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანდა ხელისუფლებისა და აკადემიის პოზიციების შეჯერება და რეფორმის არსში შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი რომ გამხდარიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ხელისუფლებამ აკადემიას ჯერ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ჩამოაშორა, ორიოდ წლის შემდეგ კი მათი დიდი უმრავლესობა სახელმწიფო უნივერსიტეტებს შეუერთ-

თა. ამ გარდაქმნის დეკლარირებულ მიზნად ადმინისტრირების ახალი მოდელის მეშვეობით მეცნიერების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა სახელდება, მაგრამ ფაქტია, რომ რეფორმის განხორციელების გაუზრებელმა მეთოდებმა და ნაჩქარევმა გადაწყვეტილებებმა წინასწარ გაცხადებული შედეგი ვერ მოგვცა.

ჩატარებული გარდაქმნების შედეგად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებთან აკადემიის სამართლებრივი ურთიერთობა კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშების საექსპერტო შეფასებით შემოიფარგლა. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევა—ძიება აკადემიაში ინტენსიურად გრძელდება აკადემიის წევრების ძალისხმევით. ჰუმანიტარული დარგები წარმოდგენილია აკადემიის ორ — საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების — განყოფილებაში, სადაც გაერთიანებულია აკადემიის 28 წევრი (მათ შორის, 21 აკადემიკოსი და 7 წევრ-კორესპონდენტი). ისინი წარმატებით ახორციელებენ როგორც ინდივიდუალურ კვლევებს, ისე ამა თუ იმ სტატუსით (ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი) აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კოლექტიური სამეცნიერო პროექტების შესრულებაში. ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება აკადემიის პრეზიდიუმთან და აღნიშნულ განყოფილებებთან არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში, ესენია, ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია, აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია (აკად. რ. მეტრეველი), ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია (სრულიადსაქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II), ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (აკად. ე. ჯაველიძე), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია (აკად. დ. მუსხელიშვილი), ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი (აკად. ნევრ-კორესპონდენტი ლ. მელიქიშვილი), ქართული ენის კომისია (აკად. მზ. შანიძე), ქართული ლიტერატურის კომისია (აკად. ე. ხინთიბიძე), აფხაზური ენისა და კულტურის კომისია (ზ. შენგელია), რომელთა საქმიანობაში აკადემიის წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტები.

შთამბეჭდავი მიღწევებით აღინიშნა დასახელებული დარგების განვითარება. მათი სრული აღნუსხვის ადგილი აქ შეიძლება არ გვექნოდეს, მაგრამ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ განსაკუთრებული ხასიათის სიახლეებს, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში.

საყურადღებოა არქეოლოგიური კვლევებისადმი მიძღვნილი ნაშრომები (აკად. ო. ჯავარიძე, აკად. ნევრ-კორესპონდენტი გ. ლორთქიფანიძე), დიდი შირაქის ველსა და ფიჭვნარში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების პირველი შედეგები (აკად. ნევრ-კორესპონდენტი კ. ფიცხელაური, პროფ. ა.კახიძე). გრძელდება საქართველოსა და კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის კარდინალური საკითხების კვლევა (დ. მუსხელიშვილი), შეისწავლება ეთნოლოგიის აქტუალური საკითხები, კერძოდ, ეთნოსოციალური პროცესები (აკად. ნევრ-კორესპონდენტი ლ. მელიქიშვილი), მუსიკალური ფოლკლორისა (პროფ. ნ. მაისურაძე) და ხალხური მედიცინის (პროფ. ნ. მინდაძე) პრობლემები და სხვ. საინტერესო სიახლეებია აღმოსავლეთმცოდნეობაში. ინტენსიურ ხასიათს ატარებს ძველი ანატოლიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროების - იეროგლიფურ-ლუვიური წერი-

ლობითი ძეგლების თარგმნა და ანალიზი (აკად. ნ. ხაზარაძე), არაბული ენის დიალექტოლოგიისა და დიალექტური მხატვრული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები (აკად. აპ. სილაგაძე), ქართულ-არაბული პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების საკითხები (პროფ. გ. ჯავარიძე), შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურის პრობლემები (აკად. ე. ჯაველიძე). ითარგმნა და გამოიცა საქართველოს ისტორიის თურქული დოკუმენტური წყაროები (პროფ. ნ. შენგელია). ქართულ კავკასიოლოგიაში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება - ალბანისტიკა. ქართველმა მეცნიერებმა აკად. ზ. ალექსიძის ხელმძღვანელობით გამოავლინეს და შეისწავლეს ჩვენი ისტორიული მეზობლების — ალბანელების ენისა და მნიგნობრობის უძველესი ძეგლები, რომლებიც ახლებურად წარმოგვიდგენს ადრექრისტიანული კავკასიის კულტურულ-კონფესიურ ვითარებას. წარმატებით ვითარდება გრეცისტიკა ძველი საქართველოსა და კავკასიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირში (აკად. რ. გორდეზიანი), შეისწავლება წინაბერძნულ-ქართველური ენობრივი მიმართებები. ტრადიციულად მუშავდება თეორიული ენათმეცნიერების (აკად. თ. გამყრელიძე), ქართული ენის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის საკითხები (აკად. გ. კვარაცხელია), მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის ახალ რედაქციაზე, ქართული ენის თესაურუსის ლემატიზაციაზე (აკად. ა. არაბული). ახალი ნაშრომები მიეძღვნა ქართულ-ადიღეური ენების შედარებით ანალიზს (აკად. ნევრ-კორესპონდენტი ვ. შენგელია). შეისწავლება ეფრემ მცირისა და დავით აღმაშენებლის ისტორიის ტექსტოლოგიის საკითხები (აკად. მზ. შანიძე), „ვეფხისტყაოსნისა“ და XVII ს. ინგლისური დრამატურგიის

მიმართება (აკად. ე. ხინთიბიძე), თანამედროვე ლიტერატურული პროცესები (აკად. ე. ჯაველიძე). შესამჩნევი შედეგებია ეკონომიკურ მეცნიერებაში. გასული საუკუნის ბოლოს მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების რადიკალურმა შეცვლამ ეკონომიკურ მეცნიერებას სრულიად ახალი ამოცანები დაუსახა და, შესაბამისად ინტენსიურად წარიმართა დარგში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბების პროცესი (აკადემიკოსები ვ. პაპავა, ა. სილაგაძე).


დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის აკადემიიდან გასვლისა და რეორგანიზაციის შემდეგ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ტრადიციების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება აკადემიას ხვდა წილად, სადაც ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევა ერთ-ერთი მონინავე მოძღვრების - განწყობის თეორიის საფუძველზე მიმდინარეობს (აკადემიის ნევრ-კორესპონდენტები ი. იმედაძე, დ. ჩარკვიანი).

საინტერესო სიახლეებია სამართალმცოდნეობაში, სახელდობრ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის აქტუალურ პრობლემებს, რასაც მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია (აკადემიკოსები ლ. ალექსიძე, ჯ. ხეცურიანი).

უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული თითოეული დარგის მიღწევების სათანადო სისრულით აღწერას მოზრდილი მონოგრაფიების მოცულობა თუ დაიტევს, მაგრამ ამ მოკლე, სქემატური მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო და არის მეცნიერებათა აკადემიის წვლილი ქართველოლოგიისა და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში.


რომელ წიგნებს გამოყოფდით აკადემიაში ბოლო ხანებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში განხორციელებული გამოცემებიდან?

ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციისა (მარიამისეულ, მაჩაბლისეულ, კლიმიაშვილისეულ, ანასეულ, ჭალაშვილისეულ) და, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მიერ რედაქტირებულ (რუმინაცვეისეულ, თეიმურაზისეულ და სხვ.) ნუსხებზე დამყარებული კრიტიკული ტექსტის გამოცემა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (ქართული და რუსული გამოცემების მთავარი რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი, ინგლისურის - ამერიკელი ქართველოლოგი, პროფ. სტივენ ჯონსი). საქართველოს ისტორიული ატლასის მეორე, შევსებული გამოცემა (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი). ქართული ენათმეცნიერების გარკვეული ეტაპის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს ენციკლოპედიური ხასიათის კოლექტიური ნაშრომი „ქართული ენა“ (რედაქტორი აკადემიკოსი გ. კვარაცხელია, შემდგენელი პროფ. ი. ქობალავა). საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ენციკლოპედია „საქართველო“, რომლის I-III ტომები უკვე მიიღო მკითხველმა და რიგშია IV ტომი (მთავარი რედაქტორი პროფ. ზ. აბაშიძე). გამოვიდა, აგრეთვე, სამეცნიერო-ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომეულის „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ ოთხი წიგნი. რუსთაველის კომიტეტის ეგიდით გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ პროფ. პ. მარგველაშვილის მიერ მომზადებული ახალი რედაქცია, რომელსაც ერთვის საძიებო სისტემით აღჭურვილი მდიდარი ელექტრონული მასალა; გამოიცა ვრცელი კრებული „დიდი ექვთიმე“, რომელიც აკად. ე. თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება, უკვე გამოვიდა ე. თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის პირველი ტომი, ინტერესით შეხვდა მკითხველი საზოგადოება რუსე-



თის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ქ. მოსკოვში 2015 წ. გამოცემულ ფართოპლანიან ნაშრომს „ქართველები“, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან აკად. ნევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი, პროფ. ლ. ბერიშვილი, ლ. სოლოვიოვა (გამოიცა მისი ქართული ვარიანტიც); აკადემიის პატრონაჟით გამოქვეყნდა სქელტანიანი მონოგრაფიები - პროფ. ნ. ჯაველიძის „აფხაზეთი და აფხაზნი“ და პროფ. ვახტ. ითონიშვილის „დვალეთი და დვალეები“, რომლებიც საფუძვლიანად და მეცნიერული კეთილსინდისიერებით აშუქებენ საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილების ისტორიულ წარსულს, რაც, ცნობილი გარემოებების გამო, აფხაზურ, ოსურ თუ რუსულ პოლიტიკურად მოტივირებულ პუბლიკაციებში უმოწყალოდ მახინჯდება. გამოქვეყნდა გამყალბებელთაგან საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დასაცავად ქართველ მეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ნაშრომების ორი კრებული, რომლებიც მოამზადეს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიამ და ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრმა: 1. Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии, Тб., 2009, Научный редактор акад. Д. Мухелишвили. აქ დაიბეჭდა ს.ჯანაშიას, ი. აბუ-

ლადის, მ. ლორთქიფანიძის, ბ. არველაძის, ნ. შოშიაშვილის, დ. მუსხელიშვილის, რ. მეტრეველის, დ. ბერძენიშვილის, გ. მაისურაძის, ე. ცაგარეიშვილის, ა. ონიანის, ზ. სარჯველაძის და სხვ. სტატიები, სადაც მკვეთრი პასუხია გაცემული ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის მიერ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გაყალბებაზე. 2. Некоторые вопросы истории осетин Шида Картли, Тб., 2010, Главный редактор акад. Д. Мухелишвили. კრებულში შეტანილია ნაშრომები, რომელთა ავტორები (მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ა. თოთაძე, ვალ. ითონიშვილი, ვახტ. ითონიშვილი და სხვ.) ობიექტურად აშუქებენ ქართველი და ოსი ხალხების



მრავალმხრივ ურთიერთობებს და მეცნიერული არგუმენტაციით აქარწყლებენ აღნიშნული საკითხების ფალსიფიკაციის მცდელობებს; ახლახან მეორედ გამოიცა ს. ჯანაშიას პოლემიკური ნაშრომის „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“ (პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1946 წ.) ქართული თარგმანი.

კმაყოფილი ხართ თუ არა, როგორც ისტორიკოსი, ამ 25 წლის მანძილზე პირადად თქვენი შემოქმედებითი მუშაობით?

უკმაყოფილების საფუძველი, ვფიქრობ, არა მაქვს. ბოლო 25

წლის მანძილზე ჩემი მეცნიერული ინტერესების სფერო არ შეცვლილა - ესაა შუა საუკუნეების საქართველოს, განსაკუთრებით, „ოქროს“ ხანის (XI-XIII სს.) ისტორია, ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ქართული კულტურის განვითარება - თუმცა, დრომ მოიტანა და იმავე სფეროს ფარგლებში გაფართოვდა ჩემი კვლევის თემატიკაც, დაისვა ახალი საკითხები. აღნიშნულ პერიოდში გამოვაქვეყნე 20-მდე წიგნი (მათ შორის, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, სპარსულ და ებრაულ (ივრითი) ენებზე, შესაბამისად, გამოიცა აშშ-ში, შვედეთში, რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ირანსა და ისრაელში). სტატიების თაობაზე არაფერს ვამბობ. შევქმენი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისთვის, წვლილი შევიტანე ქართული დიპლომატიის ისტორიის, როგორც მიმართულების ჩამოყალიბებასა და ამ დარგში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნაში. ვუძღვები აკადემიასთან არსებულ ისტორიკოსთა ეროვნულ კომიტეტსა და საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიას, ვარ აკადემიის „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის, აგრეთვე, პერიოდული გამოცემის „ქართული დიპლომატიის წელიწადულის“ მთავარი რედაქტორი. ამ პერიოდში რედაქტორობა გავუწიე ათეულობით მონოგრაფიასა თუ კრებულს. ჩემი ხელმძღვანელობით გაიმართა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი (მათ შორის, საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“ (2015 წ.), ქართველოლოგთა I საერთაშორისო კონგრესი (2016 წ.). პარალელურად ვენევი პედაგოგიურ საქმიანობას. მახარებს, რომ ჩემი მონაფეხები წარმატებით ემსახურებიან ქართულ მეცნიერებასა და განათლებას...

თვალში საცემია, რომ წიგნის გამოცემა ნებისმიერ დარგში ძალიან გაიოლდა. ის, რომ ჩვენში ლექსს ყველა წერდა, ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ თუ ამდენი მკვლევარი და მკვლევარობის მსურველი გვყავდა, არ ვიცოდი. დიდი მოზღვავება იგრძნობა ამ მხრივ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში. წერენ ყველაფერს და ყველა საკითხზე, რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. ერთ-ორ ისეთ მდიდრულ გამოცემას ნავაწყდი, - ისტორიული, არქეოლოგიური, ენათმეცნიერული და ა. შ. კერძო ნააზრევის ნაზავს, - როგორის გამოცემასაც ბევრი ვერ შესწვდება. ხომ არ უშლის ხელს სამოყვარულო წიგნების და გამოკვლევების ეს ნიაღვარი ნამდვილი მეცნიერული ნაკვლევის და ნააზრევის აღქმას?

ბეჭდვის თავისუფლება თავისთავად განაპირობებს სხვადასხვა ხარისხისა და დონის, არც თუ იშვიათად, ნაკლებად არგუმენტირებული, ლოგიკურად გაუმართავი პუბლიკაციების მომრავლებას მეცნიერების ამა თუ იმ ურთულეს საკითხზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს უმთავრესი - სიტყვის თავისუფლება ფუნდამენტური, მაშასადამე, იმდენად უპირატესი ფასეულობაა, რომ წარმოუდგენელია ცენზურის რაიმე ფორმით გამოყენება. მეცნიერების დანიშნულება სწორედ ისაა, რომ მკითხველს საზოგადოებას მიანოდოს ზუსტი მეცნიერული ცოდნა. ალბათ მეტი უნდა კეთდებოდეს მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციის მიმართულებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დავუპირისპირდეთ მეცნიერების პროფანაციას. ქართული საზოგადოების განათლების დონე არ მაძლევს შიშის საფუძველს, რომ ჩვენი წიგნიერი საზოგადოების გონებას სუროგატული პროდუქცია „დაიპყრობს“. მკითხველი საზოგადოება თავად გაერკვევა მიწოდებული მასალის ავტორ-განობაში, ჩვენი ვალია, მათ დავეხმაროთ ამ საქმეში.

ს ა მ ა გ ლ ა რ ნ ი

შალვა ნუცუბიძე

(1888-1969 წწ)



დიდი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944 წ.) შალვა ნუცუბიძე, მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩეოდა: იყო შესანიშნავი მეცნიერი, ფილოსოფოსი, ფილოსოფიის ისტორიკოსი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნების თეორეტიკოსი, მთარგმნელი, ლექტორი, ორატორი, პოლემისტი, პოლიტიკური მოღვაწე, – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი (1918-1921 წწ), როგორც სოციალ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი. სოციალ-ფედერალისტთა პარტია საქართველოს ძალად გაბოლშევიკების შემდეგ ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა (სამსონ ფირცხალავა, აკაკი პაპავა...) მეორე კი საქართველოში დარჩა და პირველ წლებში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) მუშაობაში. შალვა ნუცუბიძე ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო სამშობლოში დარჩენილთაგან. ეს ნათლად ჩანს საქართველოს ცაკის სხდომების ოქმებიდან (1923-25 წწ) მის არსებით, საქმიან და საკმაოდ კრიტიკულ გამოსვლებში, გამომხმარებებში თუ კამათში ჩართვებში.

ორჯერ იყო დაპატიმრებული: ერთხელ 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ და მეორედ 1938-1940 წლებში. ერთხელ უნივერსიტეტიდან დიდი ხნით იქნა გაძევებული (1953-1960 წწ). იმ ხანად მას აკადემიკოსის წოდებაც ჩამოართმეული ჰქონდა. რატომ ებრძოდნენ ამ მართალ კაცს, ვი-

საც კარგის მეტი ქვეყანაზე არაფერი უკეთებია? ცალკეულ შემთხვევებში ასევე ცალკეულ ქვენა მიზეზთა გამო, კრებითად კი, გამო მისი ელვარე ნიჭიერებისა, რომლის ჩაქრობაც ვერაფერმა შეძლო. გასული საუკუნის ოციან წლებში, ვითარცა მწერალთა კავშირის წევრი, პროლეტკულტელთა განუწყვეტელი თავდასხმების სამიზნედ იქცა. ერთ სხდომაზე მავანი პროლეტკულტელის განაცხადება-ჩაშვებამ შემდეგნაირად გაიჟღერა: **შალვა ნუცუბიძე სოციალიზმის პლატფორმაზე დაგვიანებით გადმოვიდაო.** ამას მან გამანადგურებელი პასუხი გასცა: **მატარებლიდან ბაქანზე გვიან ის მგზავრი გადმოდის, ვისაც თან მეტი ბარგი აქვს. უბარგო, თხემიდან ტერფამდე ცარიელ-ტარიელმა პროლეტკულტელებმა, გაჩერებისთანავე ბაქანზე ისკუპეს, მე კი, დიდი ბარგის პატრონს, ზუნებრივია, მატარებლიდან გადმოსვლა დამიგვიანდაო.**

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1910 წ.) შალვა ნუცუბიძემ ლაიპციგის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ფილოსოფიის განხრით (1911-1914 წწ). ლაიპციგში მას ასწავლიდნენ ცნობილი პროფესორები ვუნდტი და ფოლკელტი. ამავე უნივერსიტეტში, ამავე პროფესორების ხელმძღვანელობით, რამდენიმე წლით ადრე სწავლობდა გრიგოლ რობაქიძე, ვისთანაც მას, მოგვიანებით, ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ისინი ხშირად მსჯელობდნენ ფილოსოფიურ და სხვა საკითხებზე და არც თუ იშვიათად ცხარედ კამათობდნენ. როდესაც შალვა ნუცუბიძემ 1956-58 წლებში „საქართველოს ფილოსოფიის ისტორიის“ 2 ტომი გამოსცა, გამოცემა იმჟამად ჟენევაში მცხოვრებ გრიგოლ რობაქიძის ხელშიც მოხვდა. ზოგიერთი ადგილით გრიგოლი უკმაყოფილო დარჩა და გადაწყვიტა გამოცემას კრიტიკული წერილით გამოხმარებოდა. მსავსი რამ, ქართველი მწერლის სიცოცხლეში, არ გამოქვეყნებულა

და თუ წერილი მართლა დაინერა, მაშინ ის გრიგოლ რობაქიძის „გაუჩინარებულ“ არქივშია საძიებელი.

ლაიპციგში შექმნა მან პირველი და ერთადერთი, ქართული, ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი „აღეთოლოგიის საფუძვლები“, რომელიც ჭეშმარიტების გადაუწყვეტელ საკითხს ეხება. სხვათა ფილოსოფიური ნაშრომების უკიდევანო ზღვაში რომ მხოლოდ განხილვით და განმარტებებით არ დაკმაყოფილდები და საკუთარ ნაშრომს შექმნი, ესე იგი რალაც განსაკუთრებული და ახლის მაძიებელი ხარ. ეს განსაკუთრებულობა შალვა ნუცუბიძის უმნიშვნელოვანეს თვისებად იქცა. გრიგოლ რობაქიძე მისაკო წერეთელს მიმხვედრს, აღმომჩენს უწოდებს. იგივე ითქმის შალვა ნუცუბიძეზეც. ის იყო **წინმავალი, ღრმა ალღობის მქონე, მიმგნები, თამამ ვარაუდთა ნამომყენებელი და თეორიათა შემქმნელი** მეცნიერი. 1942 წელს მან შექმნა თეორია ფსევდო დიონისე არეოპაგელის და დიდი სასულიერო მოღვაწის პეტრე იბერის იგივეობის შესახებ. 10 წლის შემდეგ, ამავე დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიდა ბელგიელი მეცნიერი ერნსტ ჰონიგმანი. ამ თეორიას მას შემდეგ **ნუცუბიძე-ჰონიგმანის** თეორია ეწოდება.

შალვა ნუცუბიძემ დიდი ღვაწლი დასდო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. როგორც მთარგმნელმა, გენიალური ქართული პოემა დიდებულად თარგმნა რუსულ ენაზე, ხოლო როგორც მკვლევარმა, „ვეფხისტყაოსანი“ **აღმოსავლური რენესანსის** გვირგვინად წარმოაჩინა. რენესანსის საკითხები, საზოგადოდ და **აღმოსავლური რენესანსისა**, კერძოდ, მისი ფილოსოფიური კვლევის ერთ მთავარ განშტოებად გადაიქცა და საბოლოოდ, სწორედ მისი ნამუშევრების და მიგნებების საფუძველზე, ქართველოლოგიის ერთ-ერთ განხრად ჩამოყალიბდა.

შალვა ნუცუბიძე ბრწყინვალე **მჭერმეტყველი** იყო. ირკვევა, რომ, როდესაც ის, საქართველოს

გასაბჭოებამდელი ხანის პარტიათა ინტერესების გადაკვეთისას, ტრიბუნაზე შედგებოდა, მისი მეტოქე-მოპაექრეები დარბაზს ტოვებდნენ, რადგან გამომსვლელი მსმენელებს მგალობელი, მითოლოგიური სირინოზივით აჯადოებდა და სხვებს კამათში გამარჯვების შანსს აღარ უტოვებდა. გავისხენოთ 1966 წელი, თბილისში სწორუპოვრად ჩატარებული შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე, რომელმაც მრავალი შესანიშნავი მონაწილისგან ორი ადამიანის სახე განსაკუთრებულად გამოკვეთა: ირაკლი აბაშიძისა, ვითარცა ამ დაუვინყარი ზეიმის გენიალური ორგანიზატორისა და შალვა ნუცუბიძისა, ვითარცა გენიალური გამომსვლელისა. ეს იყო დრო, როდესაც აკადემიაც თავის ადგილზე იდგა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც და ქართული კულტურაც; როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ არც, მეტი, არც ნაკლები, სკოლაში ისწავლებოდა და უმაღლეს სასწავლებლებშიც, არა ცალკეული თავები, არამედ მთლიანად, რადგან ეს უკვდავი თხზულება გახლავთ საუკუნთა სიღრმიდან წამოსული ქართველი ხალხის საკაცობრიო აზრთა, სანუკვარ ფიქრთა და მაღალ მისწრაფებათა გამომხატველი გზავნილი მომავლისადმი თუ კი ადამიანის მიერ გამოგონილი, თავისივე თავის გამანადგურებელი, იარაღით უკიდურესად დამძიმებული, ქიშპით, ომით, შურით, ბოროტებით გასენილი ეს დედამიწა კიდევ დიდხანს იარსებებს.

შალვა ნუცუბიძის ღირსებებად მისი **მიხვედრილობა, მდგომარეობაში მყისი გარკვევის უნარი და არაჩვეულებრივი მესხიერებაც** უნდა ჩაითვალოს. გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, როდესაც მისი ბედი ბენჯზე ეკიდა, მოსკოვის ერთ-ერთი ციხის საკანში მჯდომი დიდი მეცნიერი სტალინმა კრემლში, თავისთან მიიწვია. ცნობილია, რომ საუბარი „ვეფხისტყაოსანს“ და მის რუსულ ენაზე თარგმნას შეეხო. ამავე შეხვედრაზე პატიმარმა მეცნიერმა სტალინს ერთი გამოსვლა გაახსენა, რომელიც 1905 წელს, რევოლუციონერ საშა ნულუკიძის ქუთაისიდან ხონში გადასვენების დღეს შემდგარა.

- იმ დღეს თქვენ წარმოთქვით დაუვინყარი სიტყვა, რომელმაც

მე, 16 წლის რევოლუციური სულსკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდა, აღმაფრთოვანაო, - უთქვამს შალვას.

დიდად ნაამებ სტალინს სახეზე ღიმი გადაჰფენია და აღუნიშნავს:
- მახსოვს ეს გამოსვლა, როგორ არა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაღზე დანერილი ტექსტი შემდგომში დამეკარგაო.

- ამაზე არ იდარდოთ, თქვენი გამოსვლა ნერტილ-მძიმინად მახსოვსო. - დაუმვიდებია სტალინი შალვა ნუცუბიძეს და დაკარგული სიტყვა იქვე ზეპირად წარმოუთქვამს.

საფიქრებელია, რომ ამ ამბავმა არც თუ უკანასკნელი როლი ითამაშა მეცნიერის პატიმრობიდან საბოლოო განთავისუფლებაში.

ორგზის დოქტორის (ლაიპციგის უნივერსიტეტისა 1915 წ. და თბილისის უნივერსიტეტისა 1927 წ.), თბილისის უნივერსიტეტის ერთ/ერთი დამაარსებლის (1918 წ.), მისი პრორექტორის (1920-1929 წწ), თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის დირექტორის, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ღვანლის სრული აღწერა ამ პატარა წერილის ფარგლებს დიდად აღემატება. მაგრამ მისი ერთი უთვალსაზიროესი დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე, **20-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფიური სემინარების დაარსება**, აუცილებლად საზგასმას მოითხოვს. ამ სემინარებმა აღზარდა არაერთი მომავალი მეცნიერი და, ამრიგად, ქართული ფილოსოფიური სკოლის შექმნას შეუწყო ხელი.

ერთხანს მის სემინარებს თვით დიდი ივანე ჯავახიშვილიც ესწრებოდა.

პირადად მე შალვა ნუცუბიძე სულ ორჯერ ვიხილე. პირველად უნივერსიტეტის მეორე შენობაში იურისტებისთვის ნაკითხულ სასწავლო ლექციაზე, რომელიც საჯარო ლექციად გადაიქცა, რადგან აუდიტორია, მომავალ იურისტებთან ერთად, შემოჭრილი ხალხით იყო გადავსებული. და რა იყო ჩვენი (იმ დღეს ნაცნობ-უცნობი ერთ მუშტად ვიყავით შეკრული) პირველი შთაბეჭდილება? ბატონმა

შალვამ შემოსვლისთანავე შეათვალიერა გაძედილი მერხები, ჩანთა მაგიდაზე დადო და მოგვმართა: **ისე ვინროდ სხედხართ, რომ ნამდვილად მეცოდებით. არ გეყოფათ, რაც ზევიდან გავინრობენ!** ლექტორის ასეთი სიმამაცით გაოცებულმა დარბაზმა პირი დაალო. **აბა, ტაში არ იყოს!** - გაგვაფრთხილა ბატონმა შალვამ და ტაშისგან ჭერი ლამის ჩამოიქცა.

იმ დღეს, ბატონმა შალვამ, მრავალთა შორის ჩემი გულიც სამუდამოდ მოიგო.

ხოლო, როდესაც ჯადოსნური ლექცია თუ ზღაპარი დასრულდა, ჩამომდგარ სიჩუმეში ისიც წამით გაირინდა, ბოლოს დამსწრეთ თითი დაგვიქნია და მკაცრად წარმოთქვა: **იცოდეთ, გამოცდას ყველანი ჩამაბარებთ!**

დიდი მოქართულე შალვა ნუცუბიძე არაფერს ისეთს არ იტყოდა, რომ ნათქვამი რაიმე კუთხით სიმბოლური არა ყოფილიყო. და ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ და თვალწინ ჩვენი ღვთივკურთხეული სამშობლოს დღევანდელი გასაცოდავებული ყოფა მიდგას, მინდა ყველა ზრდასრულ ქართველს ვკითხო: **ჩავაბარეთ კი გამოცდები ჩვენს დიდ მასწავლებლებს ისე, როგორც ისინი ამას ჩვენგან მოითხოვდნენ?**

მეორედ შალვა ნუცუბიძე, მისი დასაფლავების დღეს, კუბოში მწოლიარე ვიხილე, უნივერსიტეტის ეზოში. სამგლოვიარო გამოსვლებიდან მახსოვს ვენორი ქვაჩახიას სიტყვა, რომელიც მან შემდეგნაირად დაიწყო:

გარდაიცვალა საქართველოს ამირანი!

და წამსვე იანვრის სიცივით გათოშილი ჰაერი ექომ შეარხია: **ამირანი! ამირანი! ამირანი!..**

ენვერ ნიჟარაძე

რედაქტორი: ენვერ ნიჟარაძე
დაკაბადონება: პაატა ქორქია
უწყებები – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული გამოცემა
იბეჭდება აკადემიის სტამბაში